პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

—აგვისტო 2025 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებულ უსახელო სკვერს მიენიჭოს 13 მაისის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**


ევგენი მიქელაძის ქუჩა
ევგენი მიქელაძის ქუჩა
ევგენი მიქელაძის ქუჩა
VI კვარტალი
VI კვარტალი
III კვარტალი
III კვარტალი
ბორის პაიჭაძის ქუჩა
აკაკი ბელიაშვილის I ხიხი
VI კვარტალი
VI კვარტალი
III კვარტალი
III კვარტალი
I კვარტალი
ნოდარ ახალკაცის ქუჩა
VI კვარტალი
III კვარტალი
III კვარტალი
III კვარტალი
44.782990, 41.759556
1 : 3620

10/03252101-03.

თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ზურაბ აბაშიძეს
თბილისის საკრებულოს
სახელდებისა და
სიმბოლიკის კომისიის
თავმჯდომარეს
ბატონ ლევან აბაშიძეს

1981 წლის 13 მაისი დაუვიწყარი თარიღია ჩვენი ქვეყნის და თბილისის მოქალაქეებისთვის. დინამო თბილისმა ევროპის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საფეხბურთო ტურნირი უეფას თასების მფლობელთა თასი მოიგო.

ეს დღე საერთო სახალხო დღესასწაულად იქცა და დღემდე ყოველწლიურად აღინიშნება. საქართველოს ისტორიაში სწორედ ამ განსაკუთრებული დღის აღსანიშნავად და ლეგენდარული თბილისის დინამოს ლეგენდარული წევრების პატივსაცემად მოგმართავთ თხოვნით ქალაქ თბილისის ერთ-ერთ სკვერს 13 მაისის სახელი ეწოდოს.

პატივისცემით,

საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა
ასოციაციის პრეზიდენტი
გრიგოლ გვენცაძე

WRITERS ASSOCIATION სსჟა 203865923

საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა
გაერთიანების პრეზიდენტი
ვახტანგ ქორიძე

საკონტაქტო პირი გრიგოლ გვენცაძე 599184161

01030012266 ნუცა და სოსო წერეთლის №6

29.07.2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **ბ/28285228**
თარიღი: **22/08/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტის გრიგოლ გვენცაძის და საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა გაერთიანების პრეზიდენტის ვახტანგ ქორიძის მომართვის საფუძველზე თბილისის "დინამოს" მიერ 1981 წლის 13 მაისს უეფას თასების მფლობელთა თასის მოგების დღის აღსანიშნავად, განიხილავს ინიციატივას დიდუბის რაიონში, ბორის პაიჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო სკვერისთვის 13 მაისის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით (2025 წლის 31 ივლისის საქმე # 10/03252101-03).
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ 13 მაისის სკვერის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) ფურცელი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე